ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი

სამაგისტრო საფეხური პროგრამა:

ფიზიკა და ასტრონომია

შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის პირობები და შეფასების სისტემა

საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველმა უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა. გამოცდაზე შეფასდება როგორც ფიზიკისა და მათემატიკის ცოდნა, ასევე დარგობრივი ცოდნა, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი, მოტივაცია და კომუნიკაციის უნარი. გამოცდის ფარგლებში შემოწმდება კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენცია (მინიმუმ B1 დონეზე).
ზეპირ გამოცდაზე კანდიდატი ფასდება 100 ქულიანი სისტემით.
გამოცდაზე **ფიზიკისა და მათემატიკის ცოდნის შეფასება მოხდება 50 ქულიანი სისტემით.** საგამოცდო მასალა წინასწარ განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიეტეტის ვებ-საიტზე. საგამოცდო ბილეთი მოიცავს 5 საკითხს (ფიზიკიდან და მათემატიკიდან), რომელთაგან თითოეული ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით შემდეგი სკალის მიხედვით:

0 ქულა - პასუხი არ არის ან სრულიად მცდარია
1-2 ქულა - პასუხი არასრულია, შეიცავს უხეშ შეცდომებს და მსჯელობა ალოგიკურია
5-6 ქულა - პასუხი არასრულია, დაშვებულია შეცდომები და მსჯელობა ნაკლებად ლოგიკურია
7-8 ქულა - პასუხი ვრცელია, დაშვებულია უმნიშვნელო შეცდომები და მსჯელობა მეტწილად ლოგიკურია
7-8 ქულა - პასუხი ვრცელია, დაშვებულია უმნიშვნელო შეცდომები და მსჯელობა ლოგიკურია
9-10 ქულა - პასუხი ამომწურავია, შეცდომები დაშვებული არ არის და მსჯელობა ლოგიკურია

გამოცდაზე კანდიდატის **დარგობრივი ცოდნა ფასდება 50 ქულიანი სისტემით**. კანდიდატმა უნდა გამოავლინოს დარგობრივი ცოდნა, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი, მოტივაცია და კომუნიკაციის უნარი. გამოცდის ფარგლებში შემოწმდება კანდიდატის ინგლისური ენის კომპეტენცია (მინიმუმ B1 დონეზე).
მოტივაციის გამოვლენის მიზნით, კანდიდატმა უნდა ისაუბროს პროგრამისადმი საკუთარი ინტერესის შესახებ სამომავლო პროფეისული/კარიერული ზრდის პერსპექტივიდან. მიღწევების დასადასტურებლად კანდიდატმა უნდა წარმოაჩინოს თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი აკადემიური ან/და პროფესიული აქტივობების შედეგები (წარმოდგენილი CV-ს საფუძველზე). ინგლისური ენის დონის შემოწმების და შეფასების მიზნით, კანდიდატს მოეთხოვება B1 დონის შესაბამისი სირთულის დარგობრივი ტექსტის წაკითხვა და მისი შინაარსობრივი ანალიზი.

შეფასების კრიტერიუმები

დარგობრივი ცოდნა და არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია	ქულა	მაქსიმალური ქულა
საკითხის ცოდნა (არჩეული სფეროს შესახებ თეორიები, ცნებები, კონცეფციები)		14
დარგის თანამედროვე პრობლემატიკის ცოდნა		6

მოტივაცია	ქულა	მაქსიმალური ქულა
მოტივაციის მკაფიოდ და ნათლად წარმოჩენა		3

აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნების და პროგრამის მიზნების თანხვედრა		2
პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებების გააზრება		3
მიღწევები	ქულა	მაქსიმალური ქულა
მიღწევების მრავალფეროვნება (მაგ. გამოქვეყნებები, კონფერენციებში მონაწილეობა, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები, სერტიფიკატები, სამუშაო გამოცდილება და ა.შ.)		4
აპლიკანტის მიერ საკუთარი მიღწევების შეფასება/რეფლექსია		2

კომუნიკაციის უნარი	ქულა	მაქსიმალური ქულა
ქართულ ენაზე გამართული კომუნიკაციის უნარი		8
*ინგლისურ ენაზე წაკითხულიდან აზრის გამოტანის უნარი (აპლიკანტს მოეთხოვება წაიკითხოს და განმარტოს დისციპლინით გათვალისწინებული საკითხებიდან მოცემული ინგლისურენოვანი ტექსტი)		8

მინიმალური ზღვარი ინგლისური ენის კომპონენტში შეადგენს 5 ქულას. თუ აპლიკანტმა ვერ გადალახა ეს ზღვარი, მისი გასაუბრების მთლიანი ქულა ნულდება.

საკონკურსო ქულა დგება ქულათა ჯამის მიხედვით (მაქსიმუმ 100). თანაბარი ქულების მოპოვების შემთხვევაში კონკურსში გათვალისწინებული იქნება წინა საფეხურზე სწავლის აკადემიური მოსწრება და, არსებობის შემთხვევაში, კვლევითი და/ან სამუშაო გამოცდილება.